საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 27 სექტემბრის
დადგენილება № 531

სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების
სისტემისა და რეაგირების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მეცადინეობების ხარისხის ამაღლების, პროფესორ-მასწავლებელთა კომპეტენტურობის დონის დადგენისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებების განსაზღვრის მიზნით:

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა (გ. ძიძიგური) უზრუნველყოს მეცადინეობების ჩატარების ხარისხის პერიოდული შეფასება მეცადინეობებზე სპეციალური კომისიის დასწრებით.
2. მეცადინეობის წამყვანი პედაგოგის შეფასება განხორციელდეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული კითხვარის საშუალებით.
3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეფასების შედეგების მიხედვით დააჯგუფოს შეფასებული პირები ხუთ დონეზე შემდეგი წესით:

დონე	შეფასება	განმარტება	შედეგი
A	საუკეთესო	სამუშაოს საუკეთესო შესრულება	შესაძლო მაქსიმუმის 91%-100%
B	კარგი	შედეგი შეესაბამება სამუშაოს მოთხოვნებს	შესაძლო მაქსიმუმის 71%-90%
C	საშუალო	შესრულების დამაკმაყოფილებელი დონე	შესაძლო მაქსიმუმის 41%-70%
D	ზღვრული	სამუშაოს შესრულება არასრულფასოვანია	შესაძლო მაქსიმუმის 21%-40%
E	სუსტი	არადამაკმაყოფილებელი შედეგები	შესაძლო მაქსიმუმის 0%-20%

4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეფასების პროცესის დასრულებისას შედეგები სწავლების დეპარტამენტთან შეთანხმებით გადასცეს სტუ-ს აკადემიურ საბჭოს.
5. სტუ-ს აკადემიური საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელებს შემდეგი პრინციპით:

   E დონის პედაგოგს შეუწყდეს ხელშეკრულება.
   D დონის პედაგოგს სემესტრის დამთავრებამდე მიეცეს რეკომენდაცია კვალიფიკაციის ასამაღლებლად.
   A დონის პედაგოგს მიეცეს რეკომენდაცია ბონუსურ სისტემაში მინაწილეობისათვის.

6. დადგენილება ძალაშია 2011-2012 სასწავლო წლიდან

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე